# აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. აბაშა, 2025 წლის 12 მარტი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა (ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მ.ჯალაღონია, ი. თოდუა, დ.ვერულაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრები კ.ჩაჩავა, დ. კაჭარავა, ზ.მაკალათია.

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

   მომხს: დ. ცანავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

   მომხს:დ.ცანავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს ( მომხრე - 4; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

**მოისმინეს :**

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

   მომხს: დ. ცანავა.

აზრი გამოთქვეს: დ. ვერულაშვილმა , ი. თოდუამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -4; წინააღმდეგი -0) .

აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში გატანილ იქნეს ბიუროს სხდომაზე ,საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

**მოისმინეს**

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

   აზრი გამოთქვეს: ი. თოდუამ, მ. ჯალაღონიამ,დ.ვერულაშვილმა.

   კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული
   კენჭისყრის შედეგად (მომხრე -4; წინააღმდეგი -0) .

   აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

2. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში
   გატანილ იქნეს ბიუროს სხდომაზე, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე დ. ცანავა.